

ვაკანსიის № 61802

პოზიციის დასახელება	ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მოქალაქეობა“ პროფესიული განათლების მასწავლებელი (შტატგარეშე თანამშრომელი)
კონკურსის ტიპი	გამარტივებული კონკურსი
ორგანიზაცია	სსიპ - პროფესიული კოლეჯი „თეთნულდი“
კატეგორია	განათლება/სწავლება
განცხადების ბოლო ვადა	28.08.2020
თანამდებობრივი სარგო	შეთანხმებით
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	მესტია
სამუშაოს ტიპი	ნახევარი განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	3 თვე

ფუნქციები

- განახორციელოს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „ მოქალაქეობა“ სწავლება და მოდულის მიზნების შესაბამისად:
 - 1.1 პროფესიულ სტუდენტს დაეხმაროს გააცნობიეროს მოქალაქის როლი სახელმწიფოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
 - 1.2 პროპესიულ სტუდენტს დაეხმაროს ამოიცნოს აქტუალური საზოგადოებრივი პრობლემები და საკუთარი ჩართულობით იზრუნოს მათ მოგვარებაზე;
 - 1.3 დაეხმაროს განსაზღვროს საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობის ფორმები და საშუალებები;
 - 1.4 პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს დარგობრივი ენით ოპერირებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კვლევისთვის საჭირო უნარები;
 - 1.5 პროფესიულ სტუდენტს დააწესოს საკუთარი ქვეყნის ადგილი და როლი მსოფლიო ისტორიულ პროცესებში.
- განახორციელოს პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი სწავლება და შეფასება, მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- განახორციელოს პროფესიულ სტუდენტებში პროფესიული უნარ-ჩვევების/კომპეტენციების ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი სწავლება;
- მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;
- უზრუნველყოს სწავლების მაღალი ხარისხი;
- იზრუნოს საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით კოლეჯის მიერ შეთავაზებულ სწავლებებში;
- უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობის მიღება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება;
- შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, პროფესიული სტანდარტებით, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება

ცოდნის დონე

Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი
Microsoft Office Outlook	კარგი

ენები

ენა ქართული	წერიტი უნარები C1	მითყველება C1
----------------	----------------------	------------------

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	მესტია, ერეკლე ფარჯიანის ქ. N 25
საკონტაქტო ტელეფონები	577577414; 577577412

დამატებითი მოთხოვნები

კვალიფიკაცია: ბაკალავრი, სპეციალობა ჰუმანიტარული მიმართულებით (მასწავლებლობის უფლებით - გავლილი აქვს 60 კრედიტიანი პროგრამა/პროფესიული განათლების პედაგოგიური კურსი და სამოქალაქო განათლებაში გადამზადების კურსი;
სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი;
ფუნქციური კომუნიკაციის უნარი; სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა;
ანალიტიკური აზროვნების უნარი;

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებს კანდიდატი, თუ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) ატვირთული დოკუმენტაციით მოხდება მისი შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობისათვის დაწესებულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან;
- კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ ძირითად ფორმალურ მოთხოვნებს ან/და მის მიერ არ იქნება წარმოდგენილი სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტაცია, კონკურსში მონაწილეობას ვერ გააგრძელებს.
- კონკურსანტს მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში გადაეგზავნება მოდულის განხორციელების გამკვლევი (პროექტი), მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;
- გამარჯვებულ კანდიდატ(ებ)თან კოლეჯის მიერ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად. პროგრამის უფლების მოპოვებამდე მასთან გაფორმდება წინარე ხელშეკრულება.
- შრომის ანაზღაურება: საათობრივი დატვირთვის მიხედვით, 1 საკონტაქტო სთ - 15 ლარი;
- შრომითი ხელშეკრულების ვადა დაიწყებულია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მომდევნო წელს გაგრძელების პერსპექტივით.
- სავალდებულოა, კონკურსანტმა ვებ-გვერდზე - www.hr.gov.ge შესაბამის გრაფაში ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:
 - * კანდიდატმა ატვირთოს განთლების, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - * სამოტივაციო წერილი;
 - * გამარტივებული კონკურსი ცხადდება პირის შრომითი ხელშეკრულების დასაქმების მიზნით.

გადანყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადანყვეტილება მიიღება ქულათა სისტემით, განცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან მაქსიმუმ 1 თვის ვადაში